# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 262 ოთხშაბათი, 25 ნოემბერი 1909 წ. № 262



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვადი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ...დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



ლიზა მახარობელის ასული ბერაძისა, კოლია და მარგარიტა ივანეს ასულნი ბერაძენი, ეფროსინე ნიკოლოზის ასული კალაძისა, ივდითი ნიკოლოზის ასული ქართველიშვილისა, აგრაფინა ნიკოლოზის ასული ბერაძე, გიორგი, გრიგოლ და ანტონ ბერაძეები და ბეგლარ მიხეილის ძე ქართველიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას ამა 23 ნოემბერს

**ივანე ნიკოლოზის ძის ბერაძისას,**

პირველი—ძვირფასს მეუღლისას, მეორე და მესამე—საყვარელ მამისა, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე—დაუვიწყარ ძმისა, მეშვიდე, მერვე და მეცხრე—საყვარელ ძმის-წულისა და მეათე—დაუვიწყარ ცოლის ძმისა. პანაშვიდები ყოველ დღე 11 საათზე, თავის ოჯახში დაბა სამტრედიაში; დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (0—1)



**წარმოდგენა № 18.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 18.**

**აბონიმენტი 7-ე.**

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს 1909 წელს.

**წარმოდგენის წინ ივ. გომართელი წაიკითხავს ი. შილლერის ბიოგრაფიას**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ი. ფ. შილლერის დაბადების 150 წ. თავის აღსანიშნავად**

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქმედ. თარგ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი; ბ-ნნი ს. ხვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, გ. ბედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, ვ. მატარაძე, ი. ყივიძე, მ. საფაროვი მურვანიშვილი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი ზუსტად საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „ნერონი", ტრაგედია კოსსისა. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „გიორგი მესამე".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



სადღესასწაულო **ქართული თეატრი** წარმოდგენა

**კვირას, 29 ნოემბერს 1909 წ.**

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

**დ ი ლ ი თ:**

გადახდილი იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. დილის მილოცვათა შორის, მომღერალი **ი. პ. სარაჯიშვილი** იუბილიარს უმღერებს თავისს ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

1. **ორი ობოლი,** მე-5-ე მოქმედება, დენიერისა, თარგმანი ავქ. ცაგარლისა.
2. **დაქცეული ოჯახი,** მე-3-ე მოქმედება, გ. სუნდუკიანცისა.
3. **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** დღესასწაულის გადახდა და მილოცვა ქართველ მსახიობ. მიერ
4. **ხანუმა,** 1-ლ მოქ., თხზ. ა. ცაგარლისა.

დასასრულ **აპოთეოზი**

წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაეცემა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველსაყოფელ **ფონდის** გასაძლიერებლად.

ფულით შემოწირულებანი უნდა გაიგზავნოს სადღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე,

**ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართულ თეატრის კასაში.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და

სადღესასწაულო კომიტეტი.



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დისამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—213)



## ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ყოფილი სახლი **კარაკოზოვისა კრუზენშტეინის ქუჩაზე** (სასტუმრო „ანგლეტერი"). გოლოვინსკის ახლო.

## იმლევა ქირით ან იყიდება-

(5—უ.—3)



**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., საკლდე **ფორაღოვისა.** (0—32.—109)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გოროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. დელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1— ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ოშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონიზამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—46).


## მოწოდება

წელს, 18 ოქტომბერს ღამე, დაბა სურამში, ტფილისის გუბერნიაში, **გადაიწვა მთელი უბანი** ებრაელებისა და ნაწილი სომხებისა. გადაიწვა 120 კომლი და 130 ოჯახზე მეტი უბინაოდ დარჩა—დაეწვათ საკვები, ტანთსაცმელი და მთელი ავლადიდება. ცეცხლმა შთანთქა აგრეთვე სამი სამლოცველო სახლი და ორი სკოლა ებრაელებისა

მოწყალე ადამიანებო მოგმართავთ გადამწვართა სახელით: მოხედეთ ჩვენ უნუგეშო მდგომარეობას და გაიღეთ წვლილი უბედურთა დასახმარებლად. აღარა გვაქვს სალოცავი სახლი, თავშესაფარი ბინა, ტანთსაცმელი, ბავშვებისთვის სკოლა, საქმე—ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა.

ყოველი შემოწირულება მიიღება დიდის მადლობით. შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს დ. სურამში დაზარალებულთათვის ფულის შემკრებ კომიტეტის სახელზე. (7—უ—4)


**ექიმი ლ. ნ. ოჯახანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენე. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (10—ზალ.—68)

**ექიმი კ. ს. ფოცხვერაშვილი**... არჩენს სპეც. ქირურ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანისვადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მკურნალობა, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ მონუმენტის მეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ეზ. გვერდზე. (10—ზალ.—54)

**ექიმი** კბილისა **ოსმანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2-1 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილი ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აგჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—6)

**ექიმი ა ნ. დისამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8— ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** კბილის ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და ხიდეები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლ დემიდოვისა, (0—586—303)

**ექიმი ე. ვამაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით —9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—60)

**ექიმი** კბილისა **ალ. სილოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9-2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N12, სახლი მდივანისა. (უ)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალახივაძისა.** ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანები. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს. ნაშ. ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—5)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის დ. ი. რიჟინაშვილის კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—51)

**ექიმი ვასილ წერეთელი** **ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—56)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—114)



## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—65)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**◀ ვექილი მორიგე დაცვას ▶**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საიპოთეკო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—8)

**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში ახალი წიგნი**

## ძველი საქართველო

**ტომი 1.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1909 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.) ასეთ წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებაში, ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. ფასი წიგნის 3 მ. 50 კ. (5—1)


# წარსულის გაკვეთილი

## 1.

1887 წელს თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ეგზარხოსის პალადის მისალმების დროს სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: „ერს, რომელსაც ჰქონია მრავალ საუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება იგი წარსული დაივიწყოს. ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულება ღმერთისა, ერთგულიქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვისაო". („ივერია", № 247. 1887 წ.). თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ამ სიტყვებში სავსებით გამოსთქვა პოლიტიკური credo, რომელსაც აღიარებდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ქართველ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობაც 1832 წლის „შეთქმულობის" შემდეგ ხანიდან თითქმის 1890 წლამდე. და რომელსაც აღნიშნულ წრეებში დღესაც ჰყავს არა ერთი და ორი მომხრე. ეს ფორმულა არსებითად ოპორტიუნისტული ხასიათისა იყო. საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა „ერთგულ-ქვეშევრდომობის" გრძნობამ. ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა—„გულმოდგინეობა მამულისადმი". რაც შეეხება „ღრმთისადმი ერთგულებას", შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში რელიგიოზურ გრძნობას მე-19 საუკუნეში ცხოველი ძალა მოკლებული ჰქონდა. და თუ ღმერთსაც იხსენიებდნენ ხოლმე, ეს იმიტომ რომ არ დაერღვიათ ფორმულის ჰარმონია—ღმერთი, ხელმწიფე, მამული („ხალხის" ნაცვლად, რომელსაც იხსენიებდნენ რუსეთში სლავიანოფილები და კონსერვატორები). „მამულისშვილობა" „ერთგულ-ქვეშევრდომობას გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის" ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ. ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოველი ჰქონდათ გულში. და თითქოს ამ გრძნობის ცხოველმყოფლობაში ჰხედავდნენ გარანტიასაც, ძალასაც ეროვნულ ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ის ტრაგიკული ეპოპეია, რომელსაც მე-19 საუკუნის ქართულ ეროვნების ისტორია ჰქვია, ამ საფუძველზე, ამ გულუბრყვილო რაინდობაზე იყო აგებული. და ამ ეპოპეიის პირველი დიდი მომქმედი პირი დიმიტრი ყიფიანი იყო.

ამ დიად პიროვნების ბიოგრაფიას არა ვწერთ. ჩვენ გვაინტერესებს დიმიტრი ყიფიანი ამ ჟამად იმდენად, რამდენადაც მისი რთული და მრავალ-ფერადებიანი ცხოვრება შუქს ჰფენს ქართულ საზოგადოებრივ განვითარების აზროვნობის ისტორიას და რამდენად დიმიტრი საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის დროს თუ პირად ცხოვრებაში სცდილობდა ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ რწმენის სიმბოლოთი (ღმერთი, ხელმწიფე, მამული) ხელმძღვანელობა.

ჩვენ უკვე ვიცით,*) რომ ჭაბუკობის ხანაში დიმიტრი ყიფიანი თანაუგრძნობდა 1832 წლის „შეთქმულობას". მაგრამ ვიცით ისიც, ოფიციალურ გამოძიების წყაროებიდან (Акты Арх. коммис., т. 8. იხ. კიტა აბაშიძის უკვე აღნიშნული წერილი), რომ როდესაც საქმე მოქმედებამდე მივიდა, დიმიტრიმ შეთქმულთა წრეს თავი დაანება. გრძნობდა, რომ დიდი სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო და შედეგი კი... დიმიტრი მშვიდი და ჩაფიქრებული ბუნების კაცი იყო. მეამბოხეობა მის გულს არ ეთვისებოდა. თუ იყო ვინმე ჩვენში ინტელიგენტი სარწმუნოებრივ ტრადიციებში აღზრდილი, ეს იყო დიმიტრი ყიფიანი. მაგრამ, როგორც წინა წერილში ვთქვით, მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ძველ დამოუკიდებელ სამეფოსთან ძაფები გაწყვეტილი ჯერ კიდევ არ იყო, ახალგაზრდობის თვალი ამ სამეფოსკენ იყო მიპყრობილი და რაკი ნახეს, რომ სამეფო გააუქმეს და მამული განსაცდელში ჩააგდეს, გულიდან იმოიღეს ერთგულების გრძნობა და „მამულის" აღდგენის აზრითა იყვნენ გატაცებულნი. დიმიტრი ამ მოძრაობას ვერ ასცდებოდა, თუმცა წინააღმდეგი იყო სისხლის ღვრისა.

ერთი ამბავი, რომელსაც იგონებს დიმიტრი ყიფიანი თავის ყმაწვილობის ხანიდან, საუცხოვოდ გვიხასიათებს მის სათნოიან სულიერ განწყობილებას. „პირველად მე მიმცეს სემინარიაში, ამბობს დიმიტრი თავის „მოგონებებში". ორის წლის შემდეგ გადამიყვანეს კეთილ-შობილთა სასწავლებელში. დამსვეს მეორე კლასში. მიღების შემდეგ მეორე დღეს შემოვიდნენ კლასში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობისა, პავლე ივანეს ძე შიპულინი, მასწავლებელი რუსულის ენისა, პეტრე სტეფანეს ძე სტრატინსკი; ამათ თან მოსდევდა რამდენიმე შეგირდი უფროსის კლასებისა, რომელთა შორის, როგორც მახსოვს, იყო წამოსადეგი ახალგაზრდა, თავადი ლევან მუხრანსკი. ესენი ყველანი შემოვიდნენ და გამოსწიეს პირდაპირ უკანა სკამებისაკენ და, ამ ყმაწვილის ჩვენებით, მე წამომადგინეს თავსა. მათი სახელები მე მხოლოდ შემდეგში გავიგე, იმ დროს კი მე არ ვიცნობდი არც უფროსებსა და არც ამხანაგებს.

„—როგორ გაჰბედე და დაჰრეკე ზარი, როდესაც შენთვის არავის უბრძანებია?—მუქარითა მკითხა უფროსმა.

„მე არ ვიცოდი, რას მედავებოდნენ და გაშტერებული შევყურებდი. ჩამავლეს ყურში ხელი, გამიწივ-გამომიწიეს და ხელმეორედ შემომიტეს.

„—მე არ დამირეკია—მეთქი,—ვუთხარი.

„—მერე სწორედ ამან-კი დარეკა?—ჰკითხა შიპულინმა ახალგაზრდას.

„—მაგან, მაგან!—უპასუხა ამ ახალგაზრდამ და იმისი სიტყვა დაამოწმეს დანარჩენმა ამხანაგებმა.

„—ოჰო! კიდეც რომა ჰმალავს და არ უნდა გამოტყდეს. ვერ უყურებთ!.. მამიტათ სახაზავი აქა!

„და რაღაცა უცნაურის გაფრთხილებით მირტყეს და მირტყეს სახაზავი ხელის გულზე. თან მტკივა და თან ჯავრი მომდის. რისთვისა მცემენ—მეთქი, ვკითხავდი ჩემს თავსა და ცრემლი ლაპა-ლუპით ჩამომდიოდა ლოყაზე. მე იმდენადვე ვიყავ დამნაშავე იმაში, რასაც მაბრალებდნენ, როგორც თქვენა, ჩემო მკითხველო.

„შეცდომა იყო! საყვარელი დღესასწაულიდა, რომ შეცდომა უნდა შეენდოს კაცმა, და, მგონი,

*) იხ. წერილი „როგორ მოხდა", „დროება" N 253.

მეც შევუნდე, მაგრამ დღვიწყებით კი ვერ დავივიწყე“. (გადმოთარგმნილი „Русская Старина“-დან 1886 წ. № 3. „ივერია“-ში 1887 წ. № 228).

დიმიტრი ყიფიანი პრინციპის და მოვალეობის კაცი იყო. როდესაც მან, სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს (ვოლოგდიდან, სადაც გადასახლებული იყო, დაბრუნებისას) გადასწყვიტა, რომ ქართველ ინტელიგენტის მოვალეობაა მეფის ერთგულება, რომ ეს ერთგულება თავდებია მის სამშობლოს განვითარებისა და აყვავებისა, მას ამ მოვალეობისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი ჩვენთვის სრულიად არ იქნებოდა საინტერესო ამ ერთგულების მეტი სხვა რამ რომ არა ყოფილიყო მის ცხოვრებაში აღსანიშნავი. დიმიტრი ერთგულობას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართულ ეროვნების დაცვისა. და მან მოინდომა კიდევაც ეროვნების დაცვა ერთგულების საშუალებით. და როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის“ გადარჩენის გულისათვის „მამულს“ არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა თავის სამშობლოს.

ჩვენა ვსთქვით, რომ ყიფიანი მოვალეობის კაცი იყო. რაკი ემსახურებოდა მთავრობას, სწამდა, რომ მთავრობას სიკეთე უნდოდა და ჰკისრულობდა, ამ აზრის მიხედვით, იმგვარ საქმეების მოწეს-რიგებას, რასაც ჩვენ დღეს ექვის, უნდობლობისა და გმობის თვალით ვუყურებთ.

კავკასიის მთავარ-მართებელნი და ნამესტნიკები (მურავიოვი, ვორონცოვი, ბარიათინსკი) დიდად ენდობოდნენ და აფასებდნენ. (იხ. ნიკ. ყიფიანის წერილი, „მოამბე“ 1894 წ. № 4). ყიფიანი მთავარ-მართებლის კანცელარიის გამგის თანაშემწეობას ასრულებდა, მერე იყო ნამესტნიკის საბჭოს წევრად. ბეჯითად მუშაობდა. მაგრამ არც ღამე ასვენებდნენ. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს: „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემ მითხრა: „ცისკრის“ პირველ ნომრის კორექტურას ვასწორებდი. მე მშველიდა დ. ყიფიანი. ვნახოთ, რედაქციაში მთავარ-მართებლის ეკიპაჟი და კაცი მოვიდა, თან ტფილი პალტო მოეტანათ და მაშინათვე წაიყვანეს“. („დიმიტრი ყაფიანი“ ზ. ჭ.) ყიფიანი საქმეს და სამსახურს არ გაურბოდა. როგორც ვსთქვი, მთავრობის სამსახური მიაჩნდა ?ას თავის ერის სამსახურის საშუალებად. ბ-ნი ს. ესაძე თავის ისტორიულ გამოკვლევაში გვიამბობს ამ „სამსახურის“ ერთ ფრიად საყურადღებო ნიმუშს.

1856 წელს ყირიმის ომიანობის დროს მთავრობას ეჭვი შეეპარა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის ერთგულებაზე. უნდა ვსთქვათ, რომ მთავრის უფლება მიხეილს მისივე თხოვნით უკვე ჩამორთმეული ჰქონდა. ხოლო მთავრობამ პირობა დაუდო, რაკი მთავრობაზე ხელს იღებ, აფხაზეთში ნუღარ წახვალო. თავ. მიხეილს არ უნდოდა აფხაზეთიდან წასვლა, მაგრამ ბევრის ხვეწნის და მუქარის შემდეგ იძულებული იყო თავის ცოლით ალექსანდრათი სამეგრელოში გადასულიყო საცხოვრებლად. მიხეილის ცოლი თავ. გრიგოლ დადიანის ქალი იყო. მაგრამ ომის დაწყებისას მიხეილი არ დადგა სამეგრელოში. და წავიდა აფხაზეთში მაშინ, როდესაც აფხაზეთი უკვე დაჭერილი იყო ოსმალების მიერ. მთავრობას ეჭვი შეეპარა, მიხეილი ხომ არა მღალატობსო და იმ დროს, როდესაც თავ. მიხეილი აფხაზეთში იყო, მისი მეუღლე კი სამეგრელოში იმყოფებოდა, კნ. ალექსანდრასთან გამოსაძიებლად და გამოსაკითხავად დიმიტრი ყიფიანი გაგზავნეს. დიმიტრი ყიფიანს მისვლისთანავე ჰქონდა შემდეგი ბაასი მთავრის ცოლთან კნ. ალექსანდრასთან.

„— ის გარემოება, რომ მე გამოგზავნილი ვარ თქვენს უუგანათლებულესობასთან, დაგანახვებთ, რომ მთავრობა დღესაც არ იცის, თუ რა გზას ადგია მთავარი, თქვენი მეუღლე. რასაც მეუბნებით, სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია. მაგრამ თქვენს უუგანათლებულესობას ხომ მოეხსენება, რომ მთავრობის დასარწმუნებლად პირადი შემოწმება სამყოფი არ არის, საჭიროა უტყუარი საბუთები... სანამ თქვენ უუგანათლებულესობას რამდენიმე კითხვას დაუსვამდე, რომელნიც საქმეს ნათელს მოჰფენენ, უნდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენ სრულიად უშიშრად შეგიძლიანთ გამიზიაროთ მძიმე საიდუმლოებაც-კი.

„მთავრინამ ყოველივე ეს დამშვიდებით მოისმინა. და აქედან ყიფიანმა ის აზრი გამოიყვანა, რომ ან მას არა აქვს-რა დასამალი, ან კიდევ თავის დაჭერა კარგი სცოდნია. მაგრამ დიმიტრის იმედი ჰქონდა, რომ მთავრინა შეჰკრთება, როდესაც იგი განუზიარებს მას ერთ გარემოებას.

„— თქვენმა უუგანათლებულესობამ ბრძანა, რომ მთავრისაგან ხშირად მოგდით წერილები. ხოლო თქვენი დესპანები სანდონი არ არიან. უნდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლოება, რომელიც დიდის გაფრთხილებით გადმომცეს. ერთი თქვენი წერილთაგანი ხელში ჩაიგდეს და მე ის წერილი წავიკითხე.

„ყიფიანი დააცქერდა მთავრინას და მის სახის გამომეტყველებაზე უნდა გაეგო (упорно старался подмѣтить на ея лицѣ) შეურაცხყოფილია იგი იმ გარემოებით, რომ წერილებს იჭერენ, თუ შეშინებულია იმ აზრით, რომ წერილის შინაარსი გაიგეს. მაგრამ მთავრინას შიში არ ეტყობოდა. შეურაცხყოფილმა წამოიძახა:

„— დიაღ, ყოველივე ეს სასიამოვნო არ არის. არ მეგონა, რომ ჩემ ქმარისადმი ვნების მოტანის სურვილი ისეთი დიდი იყო, რომ ჩვენს წერილებსაც კი იჭერენ, როგორც დამნაშავეებისა. მერე, იპოვნეს მაინცა ამ წერილში ის, რასაც ეძებდნენ—საბუთი მის დანაშაულობისა?

„ეს კითხვა ისეთის დარწმუნებულის კილოთი იყო მიცემული, რომ ეტყობოდა უარ-ჰყოფის პასუხს ელოდებოდა.

„— არა, არა იპოვნეს-რა. ეტყობა, მთავარი, საჩქაროდ იწერებოდა, კარანდაშით. გწერდათ თავის კარგად მყოფობას და იმასაც, რომ ომერ-ფაშას მოლოდინში იყვნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ომერ-ფაშა ჯარის შეგროვებას ვერ მოასწრებდა.

— „განა არა, ერთი წერილი დამაკლდა. ალბად სწორედ ის წერილი დაიჭირეს. შეიძლება მითხრათ, ვის აქვს ეხლა ის წერილი?

— „რად გინდათ ეს, თქვენო უუგანათლებულესობავ. ისიც საკმარისია, რომ იგი მთავარს არ ამტყუნებს. იაროს ამ წერილმა თავისი გზით. მაშ ეხლა, როდესაც ნდობის საბუთი დაგანახვეთ, ვბედავ და გკითხავთ. გაქვთ რამე საბუთი იმისა, რომ მთავარი მთავრობის დაკითხვით და თანხმობით წავიდა აფხაზეთში?

— „არავითარი ამის შესახებ არა უთქვამს რა. ვიცი მხოლოდ, რომ როდესაც თავ. ერისთავმა ტფილისიდან ქალალდები მოუტანა, ძალიან გაეხარდა.

— „ან იქნება გაქვთ რამე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ იქ ჩვენი მთავრობის სასარგებლოდ მოქმედებს?

— „ამის შესახებაც არავითარი საბუთი არა მაქვს, მხოლოდ დარწმუნებული ვარ და მგონი ამას აქ არავინ არ უარ-ჰყოფს, რომ სხვანაირად რომ ემოქმედნა, სამეგრელოს საზღვრებზე შიშიანობა იქნება, იქ კი ყოველივე დამშვიდებულია.

„ამის შემდეგ ყიფიანმა ერთი კითხვა მისცა, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა (на который онъ много разсчитывалъ).

— „თუ შესაძლებელია, ძალიან მინდა ვიცოდე აზრი და მიზანი იმ წერილისა, რომელიც, როგორც ამბობენ, მიგიწერიათ... დიმიტრი შერვაშიძესთან.

„ამ კითხვაზე ძლიერ აღშფოთდა მთავრინა, თითქოს ცეცხლსავით აინთო.

— „ყველაფერს გეტყვით,—სთქვა მან,—ხოლო თავდაპირველად უნდა აგიხსნათ ჩემი აღელვების მიზეზი. დიმიტრი შერვაშიძე მიყვარდა და მიყვარს როგორც ნათესავი და როგორც აფხაზეთში უუჭკვიანესი ადამიანი. მთავრისთვის დიდად სასარგებლო კაცი იქნებოდა მათ შორის რომ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველთვის რაღაც უთანხმოება არ ყოფილიყო. მე ყოველთვის მათს შერიგებას და შეთანხმებას ვცდილობდი. მაგრამ ამაოდ. დიმიტრი ამ ჟამად აქ არის და მითხრეს, რომ ისიც სხვებსავით ავრცელებს ხმას, ვითომ მიხეილმა რუსებს უღალატა. მე წერილი მივწერე და ჩემ ნათესაურ სიყვარულის გულისთვის, რომელიც მქონდა მისდამი როგორც ჩემს ძმისადმი, ვევედრებოდი, გულიდამ ამოეგლო უსიამოვნება და მთავრის ინტერესების თანახმად ემოქმედნა. აი სწორედ ამ სიტყვებს აძლევენ იმ აზრს, რომელიც მე თავის დღეში არა მქონია. ზიარებას გეფიცებით, ჩემს შვილებს გეფიცებით, რომ არავითარი ეჭვი არა მაქვს იმის შესახებ, რომ მთავარი ერთგულია ხელმწიფისა და რუსეთისა. ამიტომ ძალიანა მწყინს, რომ ღალატსა სწამებენ. გეფიცებით, რომ სწორედ ამ ეჭვების გაფანტვის აზრი მქონდა და სხვა არაფერი. დიმიტრიმაც ასე გაიგო ჩემი წერილი, ამის საბუთსაც გაჩვენებთ. სხვაგან კი სხვას ამბობდა და სწორედ ესა მწყინს. მითხრეს მუხრანსკის, კოლუბაკინსაც და ბევრს სხვასაც აჩვენებდა ჩემ წერილს, როგორც საბუთს იმისას, ვითომ მე ღალატზე ვაქეზებდი ჩემ ქმარს. ეს ისე მაღელვებს, როცა მესმის ამგვარი ლაპარაკი. გევედრებით, მოჰკითხეთ ჩემი წერილი. თქვენ გაჩვენებთ. და მაშინ განსაჯეთ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი. აი იმისი პასუხიც...

„— უკანასკნელი კითხვა, კნეინა. მართალია, რომ მთავარი ერთის წერილით აფხაზეთში მოსვლას გიწვევდათ, მეორეთი კი გიშლიდათ იქ მოსვლას?

„კიდევ ამოიღო კნ. ალექსანდრამ ერთი წერილი... და მისცა ყიფიანს. წაკითხვის შემდეგ ყიფიანმა ჰკითხა, შეიძლება დამითმოთ ეს დოკუმენტი, რომ მთავრობას წარუდგინოო? კმაყოფილებით დასთანხმდა... მოლაპარაკება დამთავრდა“. (Докладъ Кипiани отъ 14 октября 1855 года. Историческая записка 1, 149—155 С. Эсадзе).

ეს ეპიზოდი, ეს ბაასი, რომლის შინაარსი ქართველ ფართო წრეებისათვის თითქმის უცნობია, ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ბევრნი წარბსაც შეიკვრნენ ამ სტრიქონების წაკითხვის დროს. არ ესიამოვნებათ დიმიტრი ყიფიანის დანახვა სამძიმო, მზვერავის როლში. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი ასრულებდა აქ თავის მოვალეობას. საქართველო რუსეთის ნაწილია. საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქნება ბედნიერი. აფხაზეთი ნაწილია საქართველოსი. თუ საქართველო ემორჩილება რუსეთს, აფხაზეთიც იმავ გზას უნდა დაადგეს, ღალატი შეუწყნარებელია როგორც ქართველისათვის, ისე აფხაზეთის მმართველისათვის. ღალატის ეჭვი კი არის. საჭიროა საქმის გამორკვევა. საჭიროა ღალატის აღმოჩენა და მოსპობა. საჭიროა საქართველოს შვილთა ერთგულება უმწიკვლო იყოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. ყოველივე სიკეთე ამ ერთგულობიდან გამოვაო.

აი რითი ხელმძღვანელობდა და რასა ჰფიქრობდა დიმიტრი ყიფიანი და მასთან ერთად ქართველი ინტელიგენცია. ჩვენი დროის თვალსაზრისით რომ შევხედოთ ყველა ამას, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ იმ ხანებში ადამიანის სინიდისი თითქოს მძიმე ტვირთით დაუტვირთვიათო. მაგრამ ნამდვილად კი, პირველ დროს მაინც, საქმე ნაკლებ ტრაგიზმით იყო მოწყობილი. ნუ დავივიწყებთ, რომ ვორონცოვის ხანა ქართველების ეროვნულ აღორძინების ხანად ჩაითვლება. ინტელიგენტი მძიმე სამსახურს ასრულებდა, სამ გიეროსაც ინაზღაურებდა და სინიდისის ტვირთს ამსუბუქებდა. ამ ხანაში და შემდგომ წლებში (სამოციანებში) ზოგი დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, ზოგიც მის თანაშემწეობით დაარსდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი“, სათავად-აზნაურო-მამულო ბანკი, წ.-კ. საზოგადოება. ეს უკვე ეროვნულ საზოგადოებას ორგანოებია, ეს უკვე იარაღია ერის განვითარებისა და წარმატებისა. ფორმულა „ხელმწიფისადმი ერთგულ-მორჩილობა და მამულისადმი გულმოდგინეობა“ თითქოს უტყუარი გამოდგა, იმგვარი, რომელიც იცავს ჩვენს ინტერესებს. ინტელიგენცია წელში იმართება. პირისახეზე ღიმილი ეტყობა. გულს სევდა არა ღრღნის და თუ ღრნის, ამ ტკივილს სიმწვავე არა აქვს. იგი სევდა რომანტიულ მელანქოლიას უფრო ჰგავს—ძველი ჰანგი, გულში ჩარჩენილი, რომელსაც ქართველი პოეტები კვლავაც აჟღერებდნენ საქმიანობა, საზოგადოებრივი მღვაწეობა კი უიმედო არ არის. ეს ფრთები გამოება და ამ ფრთების შემყურე ინტელიგენცია მხნედ და მარჯვედ გამოიყურება. ასე აზრვნებდა ინტელიგენცია და მასთან ერთად დიმიტრი ყიფიანიც. ამ გზით უნდა მომხდარიყო ევოლუცია ქართულ ეროვნულ კულტურისა და ამ საქმის განხორციელებისათვის არავითარი „სამსახური“ სამძიმო არ არის, არავითარი ტვირთი სინიდისისთვის ზედმეტი არ ნდა იყოს. მაგრამ დრო მიდის, მეშოცე წლების აღმფოთვანება ნელდება, მთავრობისა და რევოლიუციონერთა შორის ურთიერთობა მწვავდება და საქმე ბოლოვდება 1 მარტის 1881 წლის კატასტროფით. აქედან იწყება ისტორიის შებრუნება უკან დახევა, განადგურება მოქალაქობრივობისა, „რუსულ იდეის“ გამოღვიძება და სასტიკი დევნა ეროვნებათა. და აი ამ ხანაში დაილევა და დაიფლითა „ძველი თაობის“ მოწამის ჰარმონია და შინაარსი. დიმიტრი ყიფიანს ძველებურად მაღლა ეპყრა დროშა. რომელზედაც ეწერა—ერთგულება, მამულიშვილობა. მაგრამ ამ დროშას ხელიდამ აცლევდნენ, ხელში სჩრიდნენ სხვას რომელზედაც ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა—ერთგულება. მამულიშვილობის ხსენება კი წაშლილი და აღმოფხვრილი იყო. დიმიტრიმ მოინდომა დროშის შეცვლა და იკვდა, როგორც ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილი.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ალექსანდრე ყიფშიძისა. იგი ეხება დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ ადგილ-მამულთა კომისიას და იმას, თუ რა გააკეთა ამ კომისიამ. ავტორი სწერს:

სათავად-აზნაურო კომისიამ დაიწყო მოქმედება 1 მარტს 1907 წელს და განაგრძობს მუშაობას დღევანდლამდე. აზრი კომისიისა ისაა, რომ ხელი შეუწყოს ჩვენებურ ადგილობრივ მკვიდრს, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა, შეიძინოს საკუთრებად ადგილ-მამული. უფასოდ დაუსაზღვრელად კომისია უკეთებს მყიდველს საჭირო საბუთებს, აძლევს ყოველ ვარ დარიგებას და უწევს ყოველ გვარ წინამძღოლობას და პატრონობას.

ბევრი ჩვენი მემამულე ისე დავალიანდა და დაძაბუნდა უკანასკნელ არეულობის დროს, რომ აღარ შეუძლიან მამული შეიძინოს და ამის გამო იძულებულია გაჰყიდოს მამული.

საქართველოში აღარსად მოიპოვება თავისუფალი მამული და უღრანი ტყეები. რაც თავისუფალი, ესე იგი დაუსახლებელი ადგილი ჰქონდა ხაზინას, დიდი ხანია დაურიგა ამ 80—90 წლის წინად ჯერ გერმანელებს, შემდეგ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან მოსულ სომხებს, ბერძნებს, რუსეთიდან მოსულ მალაკნებს და დუხაბორებს, და მართლმადიდებელ რუსებს. თუ კიდევ რამე მოეპოებოდა ხაზინას ადგილ-ადგილ დარჩენილი ან საძოვარი, ან ტყე და სახნავი, ისიც ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში, ჩაბარა მართლმადიდებელ რუსებს და გააშენა მათი სოფლები.

ასე, რომ დღეს სრულებით აღარ მოიპოვება ჩვენში თავისუფალი ადგილი. დარჩა, მაშასადამე, ის მამული, რომელიც უჭირავს სადალოდ და საიჯაროდ ჩვენებურ გლეხს: მესაკუთრეს, დროებით-ვალდებულს და ხიზანს. აი მხოლოდ ამ მამულის შეძენა შეიძლება საკუთრებად და უთუოდ უნდა შეიძინოს, თორემ უცხოდან მოსული კაცი იყიდის, დიდ ფასსაც გამოიღებს და მაშინ ჩამოვარდება ჩვენში სწორედ, იტყვიან ქრისტეს ტირილი, რადგან უცხოდან მოსული კაცი სადალოდ და იჯარით ჩვენებურ კაცს როდი-ღა მისცემს, თვითონ მოხნავს, მოსთესავს და მეურნეობას გააჩაღებს.

თუ ეს მოხდება და რომ ხდება, მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავს ამას, მაშინ ადგილობრივი მკვიდრი შიმშილით ამოვარდება, გადაშენდება და ათას წლოვანი ღვაწლი ჩვენ მამა-პაპათა, რომელთაც მართლა რომ სისხლით მოურწყავთ ჩვენი მშობელი საქართველო, ფუჭად და უქმად ჩაივლის და სახელი ჩვენი სამშობლოსი ამოიშლება და წარიხ ვცება დედა-მიწის პირიდან.

პირველად მოჰმართა ჩვენს კამისიას საშველად და სახელმძღვანელოდ ორმა სოფელმა: დიდმა და პატარა გომარეთმა, ბორჩალოს მაზრიდან. აპირობდნენ ყიდვას პოლკოვნიკ გაბაშვილის მამულს, სახელად ეგრისს, ზომით 789 დესეტინას. ეგრესი ძველად კარგი სოფელი ყოფილა, მშვენიერი თლილის ქვის ეკლესიაც დღევანდლამდე შენახულა. ამ მამულს იჯარით იღებდა დიდი და პატარა გომარეთი.

გაბაშვილი ეგრისს აფასებდა 66.000 მანეთად. მეტიც ღირს და მეტსაც იძლეოდნენ სხვები. მაგალითად, ბერძნები, მაგრამ რადგან გომართლებზე უპრიანი იყო, უთმობდა მათ 66,000 მანათად. კამისიის თხოვნით გაბაშვილმა დაუკლო ფასს 6000 მან., ასე რომ მამული გაიყიდა 60.000 მ., დღიურზე მოდის 38 მ., 10.000 მ. გომარეთლებმა ჯიბიდან ამოიღეს და 50.000 მ. სავლეხო ბანკიდამ ისესხეს. ამ სესხში გაცილებით ნაკლებს იხდიან გომარეთლები, ვიდრე იჯარას აძლევდნენ ბატონს. „კუპჩები“ ჩაბარდათ და არიან ამ ჟამად უდავიდარაბოდ და უმოურავოდ.

პატარა გომარეთმა აიღო ნაყიდ მამულიდან 100 დესეტინა, ხოლო დანარჩენი დიდმა. კომლეულად გაიყვეს ეგრისი შეფარდებით კარგისა და ცუდისა.

კამისიამ ათხოვა გომარელებს 2485 მ., როცა ბეე 10.000 მან. უნდა შეეტანათ ვალი დაუბრუნეს კამისიას, დარჩა მხოლოდ ბუხული—46 მ. 50 კაპ.

კარგი საქმეა და კომისიას ამ საქმის მოწყობისთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, მაგრამ ვშიშობთ, რომ კომისიას იმ ტერტერის საქმე არ მოსვლოდეს, რომელმაც ჯოხი გადააგდო და კურდღელი მოჰკლა... სამი წელიწადია, კომისია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ამ საქმის მეტი არაფერი გაუკეთებია. ეს უკანასკნელი სამი წელიწადი კი აღსანიშნავი დროა ჩვენს ცხოვრებაში: მთელი ზემო იმერეთის გლეხობა, ქართლის ნაწილი და მთიულეთი ფეხზე დადგა და მიწა-წყალს დაეძებს. კომისიას შეეძლო მეტი მხნეობა გამოეჩინა და ამათვის სარგებლობა მოეტანა, თუნდაც იმით, რომ ცნობები შეეკრიბა, სად რა დასასახლებელი ადგილია და მოლაპარაკება გაემართა მემამულეებთან. საქმე ის არის, რომ კომისია არას აკეთებს მანამდე, სანამ თითონ გლეხობა არ მიმართავს დასახმარებლად, ხოლო გლეხობამ, როგორც მოგეხსენებათ, არც-კი იცის ამ კომისიის არსებობა.

# სახელმწიფო სათათბირო

(საგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტი გადასახადის შესახებ.**

როგორც წარსულ ნომერში ვწერდით, ეს კანონ-პროექტი შეეხება ქალაქებსა და დაბებში გადასახადების გაწერის წესის შეცვლას. ზოგიერთმა ორატორებმა პირველ სხდომაზედვე აღნიშნეს, რომ მთავრობას უფრო გადასახადების მომატება ამოქმედებს, ვიდრე წესის შეცვლაო. ბევრმა ორატორმა ესევე აზრი გამოსთქვა სათათბიროს მე-21 სხდომაზე 23 ნოემბერს. დეპ. რუმიანცევმა ისიც განაცხადა, რომ მთავრობა გადასახადებში ცენტრალისტურ სისტემას აწესებს, რადგან, ახალის პროექტით, ქონების დაფასების საქმე უნდა ჩამოართვას ქალაქისა და ერობის თვით-მმართველობებს და გადაეცეს ბიუროკრატიულ დაწესებულებებსაო.

ამ ახალ კანონ-პროექტით გადასახადი ემატებათ სახლის-პატრონებს. ბელოუსოვმა სამართლიანად შენიშნა, რომ სახლის-პატრონები ... გადასახადი ბინის დამქირავებლებზე გადაიტანენ. პოლონელი ... შესახებ პოლონეთს და აღნიშნა, რომ პოლონეთი ზარალს-კი არა საჯგებელს აძლევს სახელმწიფოს, რადგან სახელმწიფო იმაზე მეტს ართმევს პოლონეთს, რასაც აძლევსო.

ილაპარაკეს სხვა ორატორებმა და მათ შორის ფინანსთა მინისტრის ამხანაგმაც, რომელმაც დაიცვა კანონ-პროექტი.

ბოლოს, ოქტომბრისტების წინადადებით, სათათბირომ დაადგინა, შეუდგეს კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას, მაგრამ კადეტების წინადადებით სათათბირომ კანონ-პროექტი ორი კვირის ვადით საფინანსო და ქალაქის შესახებ კომისიებს გადასცა შესწორებათა განსახილველად.

ამის შემდეგ სათათბირომ თორმეტი უმნიშვნელო კანონ-პროექტი მიიღო.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

24 ნოემბერი.

### გაფიცვა.

**სიდნეი.** მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს სამთა-მადნო გაფიცულ მუშების წინააღმდეგ. დააპატიმრეს მუშათა კავშირის თავმჯდომარე და მდივანი, მუშების ორი წარმომადგენელი და ორიც მეთაური.

### ჰაერში ფრენა.

**ნიცცა.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ფერნანდეცი. ფრენის დროს აფეთქდა ჰაეროპლანის მოტორი. ნახევარ ვერსის სიმაღლიდან ჰაეროპლანი მიწაზედ ჩამოვარდა. ფერნანდეცი სულ დაიმტვრა და მალე გარდაიცვალა.

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** ზღვაზედ ღელვის დროს დაიღუპა 75 კაცი.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ სწერს, რომ თუ სამინისტროს რეორგანიზაცია სლავიანების სასარგებლოდ მოხდა, რაიც სასურველია, ამ შემთხვევაში სლავიანებმა უნდა გამოარკვიონ თავიანთი შეხედულება საგარეო პოლიტიკაზედ და კერძოდ ავსტრია-გერმანიის კავშირზეო. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს პოლონეთის სააგენტოს ცნობას, რომ პოლონელები ისეთ პარტიებს დაუკავშირდებიან, რომლებიც რუსეთს ცივად ეკიდებიანო. პოლონეთის სააგენტოს ცნობის გამო ზოგიერთებმა შეეკითხნენ პოლონელთა კოლოს თავმჯდომარეს გლომბინსკის და მის ამხანაგს ჩაიკოვსკის. მათ განაცხადეს: კოლოს პრეზიდიუმმა არაფერი იცის ამის შესახებო; კოლოს აზრად აქვს პარლამენტის მუშაობა გაანაყოფიეროს, რისთვისაც სცდილობს სლავიანები და რეიხსტაგის უმრავლესობა ერთი ერთმანეთს დაუახლოვოს, პოლონელთა კოლო დარწმუნებულია, რომ ავსტრიის საკეთილდღეოდ საჭიროა სლავიანების და გერმანელების სწორუფლებიანობაო.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა სტამბოლში ტელეფონის მოწყობა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკელთა სინდიკატს გადასცეს.

**ბერლინი.** თავისუფალმა ვოაზრეებმა რეიხსტაგში წინადადება შეიტანეს, ელზას-ლოტარინგია გერმანიის კავშირის სავტონომიო სახელმწიფოდ გამოაცხადონო. ელზას ლოტარინგიას თავისი საკუთარი პარლამენტი ექნება. ამ პარლამენტში არჩევნები იმავე წესით მოხდება, როგორც რეიხსტაგში.

### რ უ ს ე თ ი

**მოსკოვი.** ღამე გაცარცვეს იარაღის მაღაზია. წაიღეს 68 რევოლვერი.

დააპატიმრეს 18 კაცი. ბრალდებათ სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის წევრობა.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით დაიკეტა საზოგადოება „იოანნეს ძმობა“ მიზეზი ის არის, რომ საზოგადოების გამგეობამ წესდებას გადაუხვია და საზოგადოებას სარწმუნოებრივი ხასიათი მისცა.

**პეტერბურგი.** მომავალ გაზაფხულს მოიწვევენ ებრაელთა რაბინების კომისიას. განზრახულია ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიონ რუსეთში მ·ცხოვრებ ებრაელთა წარმომადგენლებიც. კრება განიხილავს ებრაელების სარწმუნოებრივ საკითხებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც დასავლეთ რუსეთში შემოღებულ უნდა იქმნეს საერობო დაწესებულებები.

**პეტერბურგი.** ამ ბოლო დროს ზოგიერთი გაზეთები სწერდნენ, სენატორ მაკაროვის თავმჯდომარეობით მოწვეული კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა პოლიციის რეფორმის შესახებ კანონ-პროექტი, ძალიან დააგვიანებს ამ პროექტის შედგენას, ამას გარდა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ წევრს შორის უთანხმოება ჩამოვარდა ამის შესახებო. ყველაფერი ეს სიმართლეს მოკლებულია. კომისიამ თითქმის დაამთავრა თავის მუშაობა, კანონ-პროექტი შედგენილია, მხოლოდ საჭიროა ზოგიერთ ცვლილებების შეტანა, რაიცა ამ მოკლე ხანში მოხდება და შემდეგ მინისტრთა საბჭოს გადაეცემა განსახილველადაო.

**ნოვოროსიისკი.** დიდ წვიმების გამო ზოგიერთი მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ. გაფუჭებულია ხილის ბაღები. სოფელ ხოლოდნი რუდნიკში დაინგრა სახლები. ერთ სახლიდან წყალმა წაიღო პატარა ბავშვი. მდინარეებში წყალმა სამ-საჟენზედ აიწია. თბილი დარები სდგას.

**კალუგა.** სოფელ კასინოვოში აღმოაჩინეს ქვა-ნახშირი და რკინა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 3, ავად არის 30 კაცი.

**მოსკოვი.** უკანასკნელ დღეებში, იმ რაიონში, სადაც ღარიბები სცხოვრობენ, ავად გახდა 49, გარდაიცვალა 16 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ავად გახდა 2 კაცი.

**ხერსონი.** 9—21 ნოემბერს ალექსანდროვის მაზრაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 6 კაცი.

## სოფლად

კარგა ხანია მკითხველ საზოგადოებისათვის სოფლის შესახებ არა მიმიწოდებია რა. სათქმელი ბევრია, მაგრამ ჯერ-ჯერობით მამულის საკითხს შევეხები.

ჩვენ მხარეზედაც დაიწყეს მემამულეებმა მამულების ლიკვიდაცია და, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მამულები მთლად, ჯერ-ჯერობით მაინც, გლეხების ხელში გადადის.

სოფ. ავნევის გლეხებმა საერთოდ შეისყიდეს ოთარიძისაგან ბანკის საშუალებით სახნავ-სათესი, ვენახი და წვრიმალა ტყე, ზომით—600 დესეტინამდის. დესეტინაში 40 მან. მისცეს.

სოფ. ნაბაკეველებმა შეიძინეს საგლეხო ბანკის საშუალებით თავ. ვლ. ხერხეულიძის მამული. დესეტინაში ცხრა თუმანი მისცეს.

სოფ. სუნირელებმა შეისყიდეს ამავე ბანკის საშუალებით სახნავი მამულები თავ. ამირეჯიბისაგან. დესეტინა რვა თუმნათ.

სოფ. ოქონაში შიგა და შიგ გლეხებმა შეიძინეს საუკეთესო სახნავი მიწები, დესეტინა 140 მან.

სოფ. ფრინევში სახნავი და წვრიმალა ტყე გაიყიდა დესეტინა 40 მან. გლეხებზე გადავიდა.

გლეხები, თუ კი ხელში მისდევთ, არას ერიდებიან მამულის შესაძენად. ერთია მხოლოდ, რომ ამ ბოლო წლებში მოუსავლობამ გლეხები ძალიან დააქვეითა და არც გასაკვირველია, რომ დღეს მამულის შეძენას გაურბიან, მით უფრო, რომ ამოდენა გადასახადს ველარ აუვიდნენ. საერთო ჯამი გლეხების გადასახადისა უმაღლეს წერტილამდის ავიდა. წარმოიდგინეთ, მარტო ოქონის საზოგადოებამ ამ წლის გასვლამდის უნდა გადაიხადოს: „ნედოიმკა“ სახელმწიფო გადასახადისა—4179 მ., მალაზიისა (თითო სულზე 12 წლიდან 60 წლამდის არის შეწერილი ერთი ფუთი ჭირნახული ან 60 კაპ.)—3000 მან., ახლად შენდება კანცელარია და ამის ხარჯი—300 მან., გომის ბოქაულის სახლის ქირა და „რაზიეზდნი კამანდისათვის“—300 მან., მამასახლისისა და სოფლის მოხელეებისთვის უნდა მოიკრიფოს არა ნაკლებ—2900 მ., აგრეთვე ამ გაზაფხულზე მოკრიფეს, სესხად რომ მიეცათ დამშეულებს—2110 მან. მიუმატეთ ამას წლევანდელი გადასახადებიც და საერთო რიცხვი 16000 მანეთამდე ავა. ამისთანა მოუსავლობის დროს ამოდენა ფულის გამოტანა, რასაკვირველია, გლეხობას გაღატაკების გზაზედ დააყენებს. გაღატაკებულებიც არიან!

თავ.-აზნაურობამ დღევანდელ დროსა და ვითარებას ანგარიში უნდა გაუწიოს, თუ მას თავის ქვეყნისათვის გული შესტკივა. პატარა უნდა მოითმინოს, გაიჭიროს და თავი შეიკავოს. სულ ხომ ასე არ იქნება? მოსავლიანი დროც დადგება, გლეხებსაც შეძლება მიეცემათ მამულების შეძენისა.

ზოგიერთ მამულების გარემოებაც საჭიროა აღინიშნოს: სოფ. დამჩხრიალოში თავ. გ. სუმბათაშვილს 250 დესეტინა სახნავი და ჩირგვნარი მამული აქვს. ამ მამულზე მოსახლეობს რვა კომლი მოიჯარადრე-იმერლები. ეს მამული სახელმწიფო ბანკშია გირაოდ ცხრაას თუმანში. თავ. გ. სუმბათაშვილმა ამ მოიჯარადრეებს წინადადება მისცა: იყიდეთ ჩემი მამული, დესეტინას ათ თუმანში მოგცემთ ბანკის ვალიანათაო. მოიჯარადრეებმა უარი განაცხადეს.

გავარჩიოთ რამდენად სამართლიანი წინადადებაა ეს: 250 დეს. მამულში ჩირგვნარია 80 დეს., ხევებს, გზებს საწყლი-პიროს და უვარგის მამულს უჭირავს 70 დეს. დანარჩენი 100 დესეტინა იქნება რიგიანი და წლიურ შემოსავალს მისცემს 800 მან. თავ. გ. სუმბათაშვილმა მოიჯარადრე-იმერლებს ექვს თუმნად რომ დესეტინა დაუთმოს, ბანკის ვალის გარდა, მათ ექნებათ მისაცემი კიდევ ვქვსასი თუმანი. ეს ფულიც უნდა ივალონ. ბანკის ვალსა და ამ ფულის სარგებელი შეადგენს—900 მან. მაშასადამე, ამ % 800 მან. შემოსავალი არა ჰყოფნის და თავიანთი ჯიბიდან დასჭირდებათ დაადონ 100 მან. ამ ანგარიშით შეუძლებელი იქნება დესეტინაზედ თავ. გ. სუმბათაშვილმა გლეხებს ათი თუმანი მოსთხოვოს. გლეხები ამის მიცემას ვერ შესძლებენ და ბოლოს ეს მამული სახელმწიფო ბანკს უნდა დარჩეს. რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა დაკლებულის ფასით დაეთმოთ გლეხებს მამული.

სულ სხვასა ვხედავთ მეორე მამულში: სოფ. ზანავაში თავ. ნ. სუმბათაშვილი მფლობელობს 127 დეს. მამულს. ამაში 10 დეს. სახნავია, ორი საწისქვილო ადგილი, დანარჩენი შეიცავს ტყეს, ნაძვის ფიჭვისა, წიფლის და სხვ. ეს მამული მტკვრის პირას მდებარეობს, რვა კომლი გლეხია დასახლებული და ამ მამულით სცხოვრობს. თავ. ნ. სუმბათაშვილმა ეს მამული ამ გლეხებს შეაძლია დესეტინა 23 მანეთად, შეღავათიანის პირობებით და მაინც არა ყიდულობენ. რატომ? მიზეზი ისაა, რომ გლეხები ტყით თავისუფლად სარგებლობენ, მემამულეც ტყეს შესაფერისად ვერ უგდებს ყურს. ამასთან ამ გლეხებს ჰგონიათ, რომ მამული მათ დარჩებათ.

საჭიროა ამ სყიდვა-გაყიდვის საქმის მოსაწესრიგებლად შესდგეს რაიმე ორგანიზაცია, რომელიც შუამდგომლობას გასწევს მემამულეებსა და გლეხებს შორის. Legatus.

## ახალი ამბავი

**შავი ქვის მრეწველობის გაჭირვება.** ჭიათურაში შავი ქვის მრეწველები ძალიან გაჭირვებაში ჩაცვივნულან. საქმე იმაშია, რომ შავი ქვა ეხლა გვარიანად საღდება, ხოლო შავი ქვის გადასატანად საჭირო ვაგონები კი არსად არის. მრეწველები დიდ ზარალში არიან. მათ უკვე მიუმართავთ რკინის გზის უფროსისათვის და ვაგონები უთხოვნიათ.

**მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა.** სკრიდან გვატყობინებენ: 23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სადგურ სკრის მახლობლად ლიანდაგიდან გადავარდა საქონლის მატარებელი. სულ ერთიანად დაიმსხვრა რამდენიმე ათი ვაგონი. არავინ დაშავებულა.

**სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ 23 ნოემბერს დაამტკიცა სახალხო წარმოდგენების ამ დღეებში არჩეული სექციის წევრნი. გამგეობამ დაავალა უნივერსიტეტის თავმჯდომარეს ვ. ი. რცხილაძეს მოელაპარაკოს სექციის ყოფილ თავმჯდომარეს მ. დემურიას, რომ მან სექციას წარმოუდგინოს ანგარიში და ჩააბაროს ინვენტარი. როგორც ვიცით, სახალხო სახლში დღეები დრამატიულმა საზოგადოებამ სცენის მოყვარეთა წრეს დაუთმო. უნივერსიტეტის გამგეობამ კარგა ხანს ითათბირა იმის შესახებ, თუ სექციას სად მოუპოვონ წარმოდგენების გასამართავად ადგილი. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს კომისიას (რაზმაძე, ი. კაჩუხოვი და პ. ქიქინაძე), მოელაპარაკოს ქალაქის გამგეობასა და სახალხო სახლის გამგე კომისიას, რომ სახალხო სახლში სექციას თვეში სამი საღამო დაეთმოს. გარდა ამისა წარმოდგენებს გამართავს სექცია შეიძლება ავჭალის აუდიტორიის დარბაზში, ავლაბრის თეატრში და სხვაგან.

**იურიდიულ საზოგადოებაში.** 20 ნოემბერს მოხდა წლიური კრება კავკ. იურიდიულ საზოგადოებისა. აირჩიეს თანამდებობის კაცნი. თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქმნა კ. ლემერმანი, თავმჯდომარის ამხანაგებად—გ. გვაზავა და გ. იუზბაშევი, მდივნად—ა. კუსიკოვი, ხაზინადრად—ვ. ტოფიანოვი და ბიბლიოთეკის გამგედ—ე. გამრეკელი.

**გაზეთის დახურვა.** უკვე ვწერდით, რომ ქუთაისში დააპატიმრეს „ვარსკვლავის“ რედაქტორი ჯინჭველაშვილი. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჯინჭველაშვილი გაუნთავისუფლებიათ, სამაგიეროდ, გაზეთი დაუკეტნიათ.

**საფეიქრო საქსოვი განყოფილებანი.** საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს აზრადა აქვთ თურმე საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლებთან დაარსოს საფეიქრო-საქსოვი განყოფილებანი. უკვე შეუდგენიათ პროექტი. ფული ამისთვის საერობო თანხიდან გადაიდება („ჰ. რ.“)

**ძველი საქართველო.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მხნედ მოქმედებს. სულ ორი წელიწადია, რაც საზოგადოება არსებობს და უკვე რამდენიმე წიგნი გამოსცა. ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ საზოგადოების ახალი გამოცემა „ძველი საქართველო“, გამოცემული ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ამ წიგნში მოთავსებულია ნეკროლოგები (ეპისკოპოს ალექსანდრესი, ნიკოლოზ ხიზანაშვილისა და ალექსანდრე ჰყონიასი), რეფერატები და გამოკვლევანი, რაც საზოგადოებაში წაუკითხნიათ, საისტორიო და სალიტერატურო მასალა, სახალხო სიტყვიერება, სახალხო სიმღერები, ოქმები და წევრთა სია. წიგნი დიდი ტანისაა, ხუთას გვერდზე მეტს შეიცავს და ღირს 3 მან. 50 კაპ. საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს, ვისაც ფული აქვს შეტანილი, წიგნი უსასყიდლოდ ურიგდებათ.

**ლექცია.** კვირას, 29 ნოემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ცნობილი ლექტორი ტოტომიანცი წაიკითხავს ლექციას კოოპერაციის შესახებ.

**კომისიის წევრნი.** რადგ ნ ტფ. ქალაქის კამისიები ორი წლით იყვნენ არჩეულნი და ვადაც გაუთავდათ, საბჭო შეუდგა კომისიების წევრთა არჩევნებს. 23 ნოემბერს არჩეულ იქმნენ სამი კომისიის წევრნი. სასწავლებელთა გამგე კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ხმ. დემიდოვი, ხუნუნცი, ქართველიშვილი, ფიშერი, ალდადანოვი, ბარტი, იოანესიანი, ქანანოვი, შადინოვი, ჰრელაშვილი, ნეპრინცევი და მელიქ ბეგლიაროვი. საადგილ-მამულო კომისიის წევრებად ეირანოვი, შადინოვი, ჰრელაშვილი, კუჩენბახი, სარქისოვი, კონდურალოვი, მარკოზოვი, მირზოევი, მითეევი და ბალდასაროვი, იურიდიულ კომისისა: არ. ახნაზაროვი, ჯაბადარი, ჯაფარიძე, ი. დოლუხანოვი, პ. დოლუხ ნოვი, ზუბალაშვილი, იოანესიანცი, მახარაძე და ხუნუნცი.

**ტფ. ქალაქის საბჭო.** 23 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის საბჭომ ოთხი-ხუთი საქმე განიხილა. გამგეობამ აცნობა საბჭოს, რომ განსვენებულ ა. ს. მატინოვის დასაკრძალავად დაიხარჯა 1800 მანეთიო. მოხსენება მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ კოლონიის საზოგადოების დახმარების შესახებ გადაეცა საფინანსო კომისიას. 100 მანეთი დაენიშნა სომეხ-ქალთა საზოგადოებას, რომელიც ობოლ ბავშვებს უგდებს ყურს, ხოლო 500 მან. ხელ-საქმის კლასის მოსწავლეთათვის მზრუნველ საზოგადოებას. თავმჯდომარეს უნდოდა ამავე სხდომაზე საბჭო შესდგომოდა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვას, მაგრამ დაატყო, რომ ხმოსნები წასვლას აპირებდნენ და აღრიცხვის განხილვა გადასდო 30 ნოემბრისათვის.

პოლიციის ცნობებით ოქტომბრის განმავლობაში ტფ. სხვა და სხვა უბანში მომხდარა 150 ბოროტმოქმედება. დაუპატიმრებიათ 184 კაცი. ვერ აღმოუჩენიათ სამი ბოროტმოქმედი.

**ტფ. ქალაქის სასწავლებელთა** გამგე კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოხსენება ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თჯუნიანცისა იმის შესახებ, რომ უქმე დღეებში ერთი დილა დაუთმოს სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთათვის წარმოდგენების გასამართავად. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს გამგეობას შეუსრულოს დირექტორს თხოვნა. ამავე სხდომაზედ კომიამ დაასახელა კანდიდატები შამხაროვის სახელობის სტიპენდიების მისადებად. კანდიდატებად დაასახელეს გირბენკო, ა. მინასიანცი და ბაყბუჯ მელიქოვი.

22—23 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: ავჭალის ქუჩაზე შეიპყრეს დუშეთის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე ოსიპოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში. ამავე მიზეზით დააპატიმრეს მოქალაქე დავით ოქრუაშვილი. დააპატიმრეს აგრეთვე ქიარიმ იბის-ოღლი, რომელსაც დაბრალდა თავ. სუმბათაშვილის კანტორიდან 76 მანეთის ნივთების მოპარვა. 23 ნოემბერს რკინის გზის სადგურზე დააპატიმრეს ახალ ბაიაზეთის მცხოვრები ყარამან აბრამოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა რევოლვერი და 25 პატრონა. მამა დავითში დააპატიმრეს ყარამან დავიდოვი, რომელსაც ყაზახის მაზრაში სხვა და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის დასაჭერად დაეძებდნენ.

ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს, გავლენა იქონიონ მეეზოვეებზე, რომ ისინი „პოსტზე“ დგომის დროს კერძო პირებთან ლაზღანდარობაში არ ატარებდნენ დროს და თავიანთ მოვალეობას ფხიზლად ასრულებდნენ.

## საქართველოს საექსარხოსო

გაზ. „რეჩ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი საქართველოს საექსარხოსოს შესახებ:

„როგორც ვიცით, ორი წელიწადია, სინოდის წრეებში ბრძოლაა საქართველოს საექსარხოსოს წინააღმდეგ. მიტროპოლიტებისა, მთავარ-ეპისკოპოსების „სალონებსა“ და სადგომებში განუწყვეტელი აგიტაცია იყო საექსარხოსოს გასაუქმებლად: ქართველ სამღვდელოების წინააღმდეგ ყოველნაირ ჭორებს ავრცელებდნენ, ექსარხოსის ნიკონის მკვლელობასაც იმას აბრალებდნენ. დეკანოზმა ვოსტორგოვმა ამ ორი წლის განმავლობაში არა ერთი მოხსენება წაიკითხა და არა ერთხელ მოახსენა სინოდს ქართველ სამღვდელოების „რევოლიუციონერობა“. ამის გამო რამდენიმე ქართველ მღვდელს აჰხადეს მღვდლობა, ზოგი ეხლაც საპატიმროშია გამომწყვდეული, ზოგს აუკრძალეს მღვდელმოქმედება, ხოლო ბევრი საქართველოდან გაიძევეს. არას ვიტყვით ეპისკოპოს კირიონის დევნაზე და იმაზე, თუ როგორ მოეპყრნენ მას. კირიონი კვლავ მონასტრის სენაკშია გამომწყვდეული.

„ყველა ეს, ასე ვთქვათ, „წინასწარი ზომები“ იყო, რომელთა მეოხებითაც უნდოდათ საექსარხოსოს გაუქმება და საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალურ უფლების სამუდამოდ წართმევა. სინოდში, როგორც ვიცით, შეიმუშავეს პროექტი საექსარხოსოს გაუქმებისა და სამაგიეროდ საექსარხოსოს დაყოფა ხუთ დამოუკიდებელ ეპარქიად. ელოდნენ მხოლოდ ნამესტნიკის თანხმობას. მაგრამ სრულიად მოულოდნელად „სფერებში“ სხვა ქარმა დაჰქროლა და ეხლა აზრადა აქვთ ბოლო მოუღონ მეტად გამოურკვეველ მდგომარეობას და სინოდის მახლობელ სხდომაზე აღძრან საკითხი ექსარხოსის დანიშვნის შესახებ. ირკვევა, რომ საქმის ასეთი მოულოდნელი ცვლილება გამოწვეულია ნამესტნიკისა და პ. ა. სტოლიპინის გავლენით. გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა წარადგინა ორი მოხსენება, ერთი—სტოლიპინთან, მეორე—სინოდში. ნამესტნიკს ამტკიცებს, რომ საექსარხოსოს არსებობა საზიანო არ არის საერთო საიმპერიო პოლიტიკისათვის. ნამესტნიკის აზრით, ქართველი სამღვდელოება ისეთი რევოლიუციონური არ არის, როგორც ამას მაღალ წრეებში ირწმუნებიანო. ამბობენ, რომ ნამესტნიკის მოხსენებამ გავლენა იქონია მმართველ წრეებში, საექსარხოსო დატოვებული იქნება და ექსარხოსად დაინიშნება ისეთი პირი, რომელიც საქართველოს მცხოვრებთათვის მოსაწონი იქნება და ამავე დროს სინოდის მოთხოვნილებასაც რამდენიმედ დააკმაყოფილებს. საქმესთან გაცნობილ პირთა აზრით, საქართველოს ექსარხოსად დაინიშნება ტაიმოვის მთავარ-ეპისკოპოსი ინოკენტი“.

## მოწერილი ამბები

**გორი.** სამი-ოთხი წელიწადია, გორში ვცხოვრობ, თვალყურს ვადევნებ გორის საზოგადოებას და გაკვირვებული ვარ ამ საზოგადოების ფუქსავატობითა და უაზრო ცხოვრებით. რაც გორს ინტელიგენცია ჰყავს, არც ერთ სამაზრო ქალაქს არა ჰყავს, მაგრამ, სიმართლე უნდა ვსთქვათ, ვერც ასეთ მცონარსა და უსაქმურს ინტელიგენციას შეხვდებით სადმე. რამდენი საყურადღებო საქმეა აღძრული ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში, მაგრამ თავს არავინ იტკივებს. ისევ გარეშენი თუ ამოიღებენ ხოლმე ხმას გორის საქმეებზე.

მაგალითისთვის აიღეთ ადგილობრივის სამასწავლებლო სემინარიის საკითხი. დიდად საყურადღებო საკითხია ეს საკითხი გორელებისათვის. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, გორის სემინარიის დირექტორის მიროპიევის რჩევით მიმართა გორის თვითმმართველობასა და სთხოვა, დაეთმო შენობისა და ბაღისათვის სამი დესეტინა ადგილი. ოლქ ს მზრუნველმა ისიც დასძინა თავის წინადადებას, თუ ადგილს თქვენ არ მოგვცემთ, იძულებულნი ვიქნებით სემინარია გადავიტანოთ ტფილისში, რომლის თვითმმართველობაც სიამოვნებით გვითმობს ადგილსაო. მაგრამ გორის თვითმმართველობამ, სახსრის უქონლობის საბაბით, საკითხი მოაფუჩეჩა, გორელებმაც ყური მიიყრუეს. გაზეთებში გარეშეებმა დაბეჭდეს წერილები. სხვა და სხვა საშუალებაზე მიუთითეს, მაგრამ ვინ გაიბერტყა ყურები. გორელები ალბად იმასაც არა ფიქრობენ, რომ სემინარიას, გარდა კულტურულ მნიშვნელობისა, მატერიალური სარგებლობაც მოაქვს ქალაქისთვის. ყოველ წლივ 40,000 მანეთი იხარჯება სემინარიაზე, ეს ფული უმთავრესად გორში ტრიალებს, მოქალაქეთა ჯიბეში ხვდის. სემინარიაში უმთავრესად ღარიბ ღედმამის შვილები სწავლობენ. თუმცა ამ ბოლო დროს ქართველ მოწაფეთა რიცხვი შეამცირეს, „კომპლექტის“ შესავსებად რუსეთიდან იწვევენ ყაზახის შვილებს, მაგრამ ქართველები ცოტათი მაინც სარგებლობენ ამ სასწავლებლით.

თვითმმართველობის სათავეში რომ ხეირიანი ადამიანი იდგეს, შეიძლება საქმის გაკეთება. სწორედ უბედურებაა: გორმა დიდი ხანი სძებნა „თავი“, ვას არ მიმართა და ბოლოს ძლივს გამოირჩია—ადგილობრივ ენების უცოდინარი, ადგილობრივ ცხოვრების გარეშე მყოფი პოლკოვნიკი შპაკოვსკი. ამის თავში ქალაქის კულტურულ წინსვლას აგრე რიგ[illegible] მეტი ბარგი[illegible] ში ქალაქ[illegible] აფთიაქის გახსნაზე. გაზეთებშიც გამოაცხადეს და მოუწოდეს მსურველებს, იჯარით აეღოთ აფთიაქი. რამდენიმე კაცი აღმოჩნდა მსურველი, ესენი თანახმანი იყვნენ თავიანთ ხარჯით მოეწყოთ აფთიაქი, 12 წლის განმავლობაში თითონ ისარგებლებდნენ, მერე კი ქალაქის კუთვნილებად გადავიდოდა ეს მოწყობილი აფთიაქი. ამას გარდა წლიურად 500 მანეთს გადაიხდიდნენ იჯარის ფასს. ქალაქმა ამ პირობაზე თანხმობა არ გამოაცხადა, მოითხოვა 1000 მანეთი და ზემოდ დასახელებული პირობა. მსურველი არ იყო. ბოლოს გამოჩნდა ერთი, რომელმაც 900 მანეთი შეაძლია იჯარის ფასი და ქალაქმაც ამას მისცა აფთიაქი იჯარით. მაგრამ აფთიაქი ერთი მოიჯარადრისაგან მეორეს ხელში გადავიდა, მეორედან მესამეში. ალბად კარგი სარგებლობა არა აქვს მოიჯარადრეს. ამ ჟამად მეოთხე მოიჯარადრეს უჭირავს აფთიაქი. ეს წელიწად ნახევარშია. ამბობენ, დეფიციტის მეტი არა ფერი სარგებლობა არა აქვს მოიჯარადრესაო. თითონ თვითმმართველობის ხაზინა წელს ხელს უწყობს აფთიაქის ასეთ დონდილს. თითონ კერძო აფთიაქებში დადიან და სხვებსაც ურჩევენ კერძო აფთიაქებში იყიდონ წამალი. ეს რჩევა უბრალო სიტყვა არ არის. ნათესაობა ყოველგან არის და აფთიაქის საქმეებშიც ხომ უამისობა ყოვლად შეუძლებელია. პირობით ქალაქის ღარიბებს ნაწილს შეუძლიან ისარგებლოს წამლებით ქალაქის აფთიაქიდან, საჭირო ქალაქის დამოწმება. ღარიბებმა ეს არ იციან და წამლებით სარგებლობენ თვითმმართველობის ისეთი მოხელენი, რომელთაც 30 მ.—70 მანეთამდე ჯამაგირი აქვთ. ეს მაშინ, როდესაც ულუკმა-პურონიც არიან და უწამლოდაც იხოცებიან.

გარეგნულად გორი გალამაზდა, ნამეტნავად სამეფო ქუჩა, ქუჩა, სადაც სცხოვრობს ქალაქის უფრო შეძლებული ნაწილი. სხვა ქუჩებიც შეაკეთეს-შეალამაზეს, განათება ელექტრონისაა. სამაგიეროდ ეზოები სიბინძურის მორევს წარმოადგენენ. მოქალაქენი ამბობენ, უმჯობესი იყო ამდენა ფული კანალიზაციის გაყვანაზე დაეხარჯა, ვიდრე ელექტრონის განათებაზეო. დასახლოვებით განათება (ოვიურად თითო მოსახლეზე 50 კ. 4 მანეთამდე) 4000 მანეთი ჯდება წელიწადში. ეს ფული რომ კანალიზაციას მოხმარებოდა და განათებისათვის ისევ „კეროსინო-კალილნი“ სისტემის ფარნები დარჩენილიყო, უმჯობესი იქნებოდა. სისუფთავე იქნებოდა, ხოლერის დანდი მაინც გაითვალისწინებოდა. მაგრამ აქ კიდევ ცუ დი არაფერია: კარგი ქნეს, რომ გაანათეს ქალაქი და უკეთესი იქნება, რომ ეხლა კანალიზაციას მიჰყონ ხელი.

დანაშაული იქნებოდა აქაური პედაგოგები უყურადღებოდ დამეტოვებინა, ნამეტნავად ქართველი პედაგოგები. საყურადღებო ის არის, რომ ცოდქმარო მონოპოლია აქვთ ადებული მასწავლებლობაზე. ქალთა გიმნაზია და სამოქალაქო სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია და ვაჟთა პროგიმნაზია, ქალთა გიმნაზია და სემინარია „დაქორწინებულ-დაგვირგვინებულნი“ არიან და ცოლქმარნი არიან აქაურ სასწავლებელთა მასწავლებლად. ეს არ არის ახალი ამბავი, კარგა ხანია ფეხი მოიკიდა ასეთმა ნათესაურმა, „კოოპერატიულად მოწყობილმა“ წესმა და ახალ მასწავლებელთ გზას არ აძლევენ, ნამდვილ მასწავლებელთ წინ ეღობებიან (თუ გინდა მასწავლებლად შეხვიდე, უნდა ჯვარი დაიწერო, მაგრამ, საუბედუროდ, ყველა დაქორწინებულია). ქართული ენის მასწავლებლობის ორი კარგი კანდიდატი თხოულობდა, არც ერთს არ მისცეს ადგილი. არჩევანი ისევ ახლო-მახლო მეორე მასწავლებელთა შორის მოახდინეს. გორელ ქართველ პედაგოგებს საქადულად მიაჩნიათ ის, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არა კითხულობენ. ამისთვის ოფიციალური „კავკაზი“ ა განეჩინდი. ქართულს გაზეთს ან კი რად წაიკითხავენ: იქ ხომ ხშირად გარო-

ლი ენის დაცვის შესახებ იბეჭდება წერილები და ეს ძილის გაერთობა იქ ნება, მეუდრო ცხოვრების დარღვევა. ეს შედაგოგები ხმა მაღლა გაიძახიან, ჩვენ ქართველები შემცდარნი ვართ, ბავშვებიდანვე რუსულად არ ველაპარაკებით (სხვების ბავშვებზეა ლაპარაკი, თორემ თავიანთებზე განახორციელეს ეგ სურვილი. ბევრმა ქართული ლაპარაკიც აღარ იცის), არ ჩავჩიჩინებთ, რუსული ენა ისწავლონ, რომ მერე არ ვინანოთ ჩვენი ბავშვების მიუღებლობაზე მთავრობის სასწავლებელშიო. ასეთი სენით არიან შეპყრობილნი ეს ბატონები და სამწუხარო ისიც არის, რომ ლაპარაკის დროს წარბ შეუხრელად გელაპარაკებიან ამ „შედაგოგიურ სიბრძნეზე“.

ბანქოს თამაშობაზე ნუღარას ვიტყვით. ქალი თუ კაცი ბანქოსა და ლოთობაში ჰპოვებს ერთად-ერთ გასართობს. სხმძიმენი და ფეხმსუბუქნი დამეებს ათრად ათენებენ ბანქოს თამაშში. ზოგი კიდევ კარჩაკეტით ზის თავის სახლში და ბოღბელი მკითხავივით გაიძახის, თუ მე არ ვიქნები, ქვაქვაზედაც ნურაფერი უოფილაო. ბანქობანაც მესვეურობა შედაგოგებს უჭირავთ.

სასწავლებელში მომთიდეს ისევ ნიშნების დარიგება. ქაღალდებზე დაუწერენ ნიშნებს და მშობლებს უგზავნიან, თუ როგორა სწავლობენ იმათი შვილები. ამ ორიოდე დღის წინად 3 მოწაფე მშობლების შიშით ვეღარ დაბრუნდა სახლში, ცუდი ნიშნები ჰქონდათ და სცხვენოდათ სახლში მისვლა. ადგნენ და ფეხით ბათუმის გზას გაუდგნენ. კარგი, რომ დროზე შეიტყვეს და სკრის სადგურზე მისწვდნენ ბავშვებს, თორემ ეგები ღამე ან ნადირს დაეჭამა ან შიშისაგან ჭკუაზე შემცდარიყვნენ.

საქართველოში უველგან სცდილობენ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსებას. გორი ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს. თუ სხვაგან ზრუნვაა—აქ უზრუნველობაა გამეფებული. არც კი ახსოვთ მგონი, რომ სადღაც ტფილისში თუ მარსზე არსებობს რაღაც საზოგადოება, წ.-კითხვის საზოგადოებად წოდებული. საკვირტანციო ოთახები კი არის გამოგზავნილი და ოთახი თაგვების სახრავად და არა ფულის მოსაგროვებლად.

ასეთი გულგრილობა, ფუქსავატობა მაშინ, როდესაც სხვა, მეზობელი ერები დაუღალავად მუშაობენ. მხოლოდ გორში შეიძლება ასეთი გულგრილობა. აქ თუ იბადება რამ, მალე კვდება გაუფურჩქნელ-გაუვითარებლად. სახალხო უნივერსიტეტი, ქალთა წრე... ქალთა წრემ ერთხელ, ამ ერთი წლის წინად მსახიობთა წარმოდგენა ილიას ფონდის სასარგებლოდ და ეს იყო, ამით დაიწყო და ამით გაათავა თავისი არსებობა. დაიძინეთ, გორელებო, ტკბილად, მშვიდობიანად, ნანინა-ნანა-ნანინა.

**გორიჯვრელი.**

# მეურნეთა კრება

ცალკე სექციებმა უკვე დაამთავრეს მოხსენებათა განხილვა და შეაფერ რეზოლიუციების მიღება ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამის გამო მეურნეთა კრების შეერთებული სხდომა მოხდა ორშაბათს, 23 ნოემბერს, სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ალ. მ. არგუტინსკის თავმჯდომარეობით. უკვე აღვნიშნეთ, რომ მეურნეთა კრების გახსნას 15 ნოემბერს ნაკლებად დაესწრნენ ნამდვილი მეურნენი. პირველ სხდომას კიდევ ორი-სამი მეურნე დაესწრო, მაგრამ ისინიც მალე წავიდნენ, ასე რომ არც სექციებისა და არც საზოგადო კრების სხდომას 23 ნოემბერს აღარავინ არ დასწრებია. დარჩნენ მარტო აგრონომები, მოხელეები და სხვანი.

23 ნოემბერს 40 რეზოლიუციამდე მიიღეს. სულ რამდენსამე წუთში დაამტკიცეს სექციის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

მცირე კამათი გამოიწვია მეურნეთა სისტემატიურ კრებების დებულების პროექტმა, სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეუმუშავებია დებულება, რომლითაც კრებები სისტემატიურად უნდა იმართებოდეს სამ წელიწადში ერთხელ. კრების დრო და ადგილი ყოველთვის მეურნეთა საერთო კრებამ უნდა აღნიშნოს. კრებებს მოიწვევს სამეურნეო საზოგადოება. სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსდება მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი. კრებების წევრთ გადახდებათ 2 მან., სამაგიეროდ კრების წევრნი მიიღებენ კრების ნაშრომს უფასოდ.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა მოითხოვა დებულება ისე იქნეს შემუშავებული, რომ კრებები იმართებოდეს არა მარტო კავკასიის მეურნეთა საერთოდ, არამედ რაიონისაც, მაგ., მევენახეთა კრება კახეთში, მეცხვარეთა კრება მთაში ანუ ბორჩალოში და სხვა. ყველა თანახმა იყო, რომ ასეთ რაიონულ კრებებს დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ დებულებაში ცვლილების შეტანა გააძნელებს იმის დამტკიცებას მთავრობისაგანაო. უმჯობესი იქნება დაევალოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სარაიონო კრებების საქმის მოწყობა საჭიროების დაგვარადაო.

კრებამ დაამტკიცა დებულება და დაადგინა: 1. ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, წარუდგინოს სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად დებულება; 2. კავკასიის მეურნეთა მეორე საერთო კრება დაინიშნოს 1912 წლის შემოდგომაზე და 3. სასურველად იქნეს ცნობილი პროვინციებში სისტემატიური კრებების მოწყობა. ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეეკადროს ასეთ კრებების ნებართვის მიღებას.

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე და დასრულდა ათის ნახევარზე. მეურნეთა კრება გუშინ, 24 ნოემბერს, საღამოთი დასრულდა.

# სპარსეთის ამბები

### მეჯლისის გახსნა.

ამ თვის დამდეგს—2 ნოემბერს გაიხსნა სპარსეთის მეჯლისი, რომელსაც მეტად დიდი პოლიტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. გაზ. „ბაკუ“-ში დაწვრილებითაა აწერილი მეჯლისის გახსნის ამბავი:

პირველ ნოემბერს, მეჯლისის გახსნის წინა დღეს თეირანის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი სადღესასწაულოდ მორთეს ყვავილებით, ხალიჩებით და ბაირაღებით. ასევე მორთული იყო ინგლისისა და რუსეთის ბანკების შენობები. დუქნები, ბაზრები, ქუჩები—ყველას ფერი ცვალა-დიდ ეროვნულ დროშებს ფრიალი გაჰქონდათ სახლის სახურავებზე. მეორე დღეს ხომ უფრო სიცოცხლე დატყუო ყველაფერს. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიისწრაფოდა იმ ქუჩებისაკენ, რომლითაც ახალგაზდა შაჰს უნდა გაევლო. ქუჩების ორთავ მხარეს ჯარი იდგა, სამხედრო სასწავლებელი და ეფრემას მიერ შედგენილი ჟანდარმერია, მუჯახედინები, მაუზერებში, მოკლე ქულაჯებში. ესენი მეჯლისის შესავალ კარებთან იყვნენ გამწკრივებულნი. აქვე იყო რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც რევოლიუციონერებმა წაართვეს რეშტელ რეაქციონერებს. მეჯლისში ბილეთებით ხალხს უშვებდნენ. ნაშუადღევის სამ საათზე დეპუტატები შეიკრიბნენ, დეპუტატებმაც ადგილები დაიჭირეს. მეჯლისის დიდ დარბაზში აღმოსავლეთის ნაწილში აღმართული იყო სავარძელი, ხეილოს ძვლებითა და ფირუზით მოჭედილი. ეს იყო შაჰის ტახტი. დიპლომატიური კორპუსისათვის მარჯვნით იყო ადგილი. 4 საათზე მუსიკამ „ტუში“ დაუკრა. ახალგაზდა შაჰი შევიდა მეჯლისის დარბაზში. შაჰს ცალკე ეტლით მისდევდა მემკვიდრე, მესამე ეტლით მიდიოდა რეგენტი აზად-ულ-მულკი. შაჰის მოსვლამდე მეჯლისში შევიდნენ მუშტეიდები, სამღვდელოების 60 რჩეული პირი.

შაჰი რომ ტახტზე ავიდა—მიესალმა სამღვდელოებას, დიპლომატებს, მეჯლისში მყოფ ხალხს. რეგენტი შაჰის მარჯვნივ იდგა. მერე როცა შაჰი უკვე ყველას მიესალმა, რეგენტმა წინ წაიწია, ამოიღო უბიდან ქაღალდი, სადაც სეფე-სიტყვა იყო დაწერილი და სპეხდარს გადასცა. გაზეთების სიტყვით, სეფე-სიტყვამ ბევრი არ დააკმაყოფილა. სეფე-სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ სპარსეთში კონსტიტუციონური წესწყობილება განმტკიცდება თუ არა, რუსეთის ჯარიც გავა სპარსეთიდანაო. აღთქმულია სხვა და სხვა რეფორმების ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე ფინანსიური რეფორმა. სხვა და სხვა დაპირებანი ბევრია, ხოლო სახალხო განათლების შესახებ არც ერთი სიტყვა. ამიტომაც არის, რომ სეფე-სიტყვამ შთაბეჭდილება არ მოახდინა. გაზეთებმაც არ დააფასეს და აღნიშნეს სეფე სიტყვის ნაკლულევანებანი.

მეჯლისის გარედ დიდი მიტინგები იყო გამართული. დიდძალი ხალხი შეკრებილიყო იქვე მოედანზე და ორატორი ორატორზე ლაპარაკობდა. ხალხიც იძახდა— გაუმარჯოს მეჯლის, გაუმარჯოს კონსტიტუციას, გაუმარჯოს დეპუტატებს. რამდენიმე გუნდი სამხედრო მუსიკისა გუგუნებდა—ეროვნულ ჰიმნს უკრავდა. აღსანიშნავია, რომ მეჯლისის გახსნის დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ ის ყაზახებიც, რომლებმაც ამ 17 თვის წინად გაცამტვერეს მეჯლისი, ფეხქვეშ გასთელეს თავისუფლების ტაძარი. ეხლა ესენიც მოვიდნენ და მეჯლისის გახსნას მილოცვებში მიიღეს მონაწილეობა. რას იფიქრებდნენ ამ 17 თვის წინად, რომ მათ მიერ განადგურებული ტაძარ-თავისუფლებისა განახლდებოდა ასე მალე —მათ თანადასწრებით.

# უცხოეთი

### კორეის დამსჯელი რაზმი და გენერალი კუროკი.

ამას წინადაც ვწერდით, რომ კორეაში მოძრაობამ იფეთქა და იაპონიაც დაფაცურდა. კორეაში მყოფი ჯარი გაიფანტა კორეის მიდამოებში აჯანყებულთა დასასჯელად. ეხლა რუსეთის გაზეთების სიტყვით, იაპონია მობილიზაციას ახდენს და მალე ძლიერ ჯარს გადაიყვანს კორეაში. თექვსმეტი ბატალიონი ჯარი, საომარ წესით გამართული ამ დღეებში კორეისაკენ. ამ რაზმის უფროსად ნიშნავენ გენერალ კუროკს, რუსეთ-იაპონიის ომის გმირს.

**შორეული აღმოსავლეთი.**

შორეული აღმოსავლეთი კვლავ იპყრობს გაზეთების ყურადღებას. ბევრი რამ საინტერესო ხდება, მაგრამ ისიც მართალია, რომ ფარდა აფარია ყველაფერს და საქმის ნამდვილი მდგომარეობის გათვალისწინება მეტად ძნელია. ხან და ხან თუ შევხდებით გაზეთებში ცოტაოდენ ცნობებს.

იაპონია და რუსეთი დაინტერესებულნი არიან შორეულ აღმოსავლეთით. გაზეთები ამას წინად სწერდნენ, შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობა რთულდება, იაპონია აგრესიულ პოლიტიკას დაადგაო. ეხლა იგივე გაზეთები გადმოგვცემენ, იაპონიის საელჩოში ეს ხმები უარჰყვესო. იაპონიას აზრადაც არა აქვს აგრესიულ ზომებს მოჰკიდოს ხელი. ტყუილია ისიც, ვითომ ჩინეთსა და იაპონიის შორის შეთანხმება მომხდარიყვეს რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოთ. „რეჩის“ თანამშრომელს ულაპარაკნია ერთ რუსის დიპლომატთან შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე. დიპლომატს უთქვამს, მართალია ის, რომ იაპონია ძლიერ დიდს მხნეობას იჩენს სამხრეთ მანჯურიისა და ჩინეთში, მაგრამ ეს სრულებით არ მოასწავებს ომის მზადებასაო. იაპონელები იმას აკეთებენ, რაც რუსებმა ვერ მოახერხეს, კვანტუნი რომ ხელთ ეპყრათო. კვანტუნსა და კორეაში იაპონია მაგრდება და სცდილობს დაიცვას ის, რაც სისხლით მოიპოვაო. არც იაპონიას უჯობს ეხლა ომი და არც რუსეთს. ამას გრძნობს გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი და მეგობრული ხასიათის მოლაპარაკება აქვს გამართული იაპონიის სამინისტროსთან.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ რუსეთიც კვლავ ცდილობს ზოგიერთა ადგილების გამაგრებას. ამ ზაფხულს პრიმორსკის გენერ.-გუბერნატორმა 1.600.000 მანეთი მოითხოვა სიმაგრეების შესაკეთებლად.

**იტოს მკვლელნი.**

თავად იტოს მკვლელი კორეელი აი-ენ-ჩი იაპონიაში გაგზავნეს—ჯერ გამოძიება არ დასრულებულა. ხარბინში დააპატიმრეს ორი კორეელი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მკვლელობაში. შეიპყრეს აგრეთვე ექვსი სხვა კორეელი, მკვლელების დამხმარე. დააპატიმრეს ამათი ცოლშვილიც. კორეაში იაპონიის მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს იაპონოფობთა პარტიის მეთაური-ლი-კაო. კორეის ყოფილი ჯარის ლეიტენანტი და ტაო-გონგი, მდიდარი კორეელი, ქველმოქმედი. კორეის მოწინავეე ხალხს აპატიმრებენ.

**აგიტაცია ბალკანეთის ფედერაციის წინააღმდეგ.**

გერმანიის პრესა აგიტაციას ეწევა ბალკანეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ბერლინის გაზეთები გადაჭრით ამბობენ, რომ ბოლგარიასა და სერბიას შორის შეთანხმება მოხდაო. ეს კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ არის მიმართული, სერბიასა და ბოლგარიას სურს მაკედონია გაიყონო. ოსმალეთის მთავრობას ურჩევენ წინააღმდეგობა აღმოუჩინოს კავშირის დაარსებას. ასეთივე რჩევას აძლევენ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს. მეტად ფართო აგიტაციას ეწევიან ფედერაციის წინააღმდეგ. ჯერ არ განხორციელებულა ასეთი ფედერაცია და ასეთი განგაში აქვთ ატეხილი.

**ოსმალეთის მთავრობის განცხადება.**

ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ კუნძულ კრიტეს მცხოვრებნი მონაწილეობას მიიღებენ საბერძნეთის პარლამენტის არჩევნებში, მაშინვე ჯარს გავგზავნით კუნძულზე და საბოლოოდ შევიერთებთო.

**ბებელის მემუარები**

გერმანული გაზეთების სიტყვით, ახლო ნომავალში გამოვა ბებელის მემუარები, სადაც ბებელი გულდრუკს უმღერს თურმე „გერმანიის ხალხის სულს“. ბებელი აღნიშნავს, რომ გერმანია პირველი დაადგა მუშათა კანონმდებლობის გზაზეო. გაზეთების აზრით, ბებელი კიდეც ურჩევს თურმე თავის თანამოაზრეებს თავიანთი მოქმედება შეუფარდონ გერმანიის ეროვნულ მიზნებს, და ნუ იმოქმედებენ სამშობლოს ეროვნულ ძალთა წინააღმდეგ.

# რუსეთი

**ხომიაკოვი და ოქტომბრისტები.** ამ დღეებში სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარემ ხომიაკოვმა ერთი გაზეთის თანამშრომელს, სხვათა შორის, უთხრა, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს თითონაც არა სწამთ, რომ მათი მუშაობა ნაყოფიერი იქნება და არც შეიძლება სწამდეთ, რადგან გარემოება ხელს უშლისო. ეს ძალიან სწყენიათ ოქტომბრისტებს. დეპუტატ კრუპენსკის ოქტომბრისტების ფრაქციის ბიუროში ოფიციალური განცხადება შეუტანია. სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვი რიგიანად ვერ იქცევა. სათათბიროს უმრავლესობას დასცინის, იმ უმრავლესობას, რომლის წყვრალაც ხომიაკოვი ითვლება და რომელმაც თავჯდომარედ აირჩიაო. ოქტომბრისტების ფრაქციის ბიუროს არ განუხილავს ეს ოფიციალური განცხადება და დაუდგენია ხომიაკოვს კერძოდ მიუთითონ, რომ სათათბიროს გაკიცხვა მის თავჯდომარისგან უხერხულიაო.

**გაუნათლებლობის შედეგი.** „რეჩ“-ს სოფელ კაზანსკიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფლელებმა სულ ერთიანად მიანგრ-მოანგრიეს პირველ-დაწყებით სკოლის შენობა. უნდოდათ მასწავლებელი—ქალის მოკვლა, მაგრამ მან თავს უშველაო.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, უფაში 1, ეკატერინოსლავში 3 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, ეკატერინოსლავში 2, რიგაში 1, სამარაში 2, ოდესაში 1 კაცი.

**ფინლანდიაში.** „რუსკ. სლოვო“-ს ფინლიანდიიდან ატყობინებენ. ჰელსინგფორსში ხმა დადის, რომ ამ მოკლე ხანში სენატში დაბრუნდებიან ის სტაროფინი სენატორები, რომლებიც სენატიდან ამ რამდენიმე ხნის წინად გავიდნენო.

ამავე გაზეთის სიტყვით ფინლიანდიის სენატს სტატს-კანტორისთვის უბრძანებია რუსეთის ხაზინას, ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილების თანახმად, გადაეცით 20 მილიონი მარკა. ამ ფულს ფინლიანდია სამხედრო ბეგარის მაგიერ იხდის.

როგორც მკითხველს მოეხსენება ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ბეკმანი სამსახურიდან გადააყენეს. ბეკმანს უკვე მიუტოვებია ფინლიანდია.

**პროკურორი ნენაროკომოვი.** ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგში ოლქის სასამართლოში პირველად დამცველად გამოვიდა ქ-ნი ფლეიშიცი. პროკურორის ამხანაგმა ნენაროკომოვმა პროტესტი განაცხადა და სასამართლოს სხდომა მიატოვა. ამის შესახებ ბჭობა ჰქონია პეტერბურგის ოლქის სასამართლოს და დაუდგენია ნენაროკომოვის ეს უკანონო მოქმედება პროკურორს აცნობოს და სთხოვოს შესაფერი განკარგულება მოახდინოს.

**ორი ეპისკოპოსი.** „ნოვაია რუსის“ სიტყვით ტვერიდან სინოდს საინტერესო ცნობები მოუვლია. საქმე იმაშია, რომ შარშან ტვერის მთავარ-ეპისკოპოსი ალექსი ავადმყოფობისა გამო ორი თვით დასთხოვია სინოდს. მისი თანამდებობის ასრულებას შესდგომია ქორ-ეპისკოპოსი ალიპი. როდესაც ალექსი დაბრუნებულა თავის ეპარქიაში ალიპს მისთვის საქმეები არ გადაუცია, ავადმყოფი კაცია და საქმეებს როგორ ვანდობო. ასე რომ ტვერის ეპარქიაში ორი დამოუკიდებელი ეპისკოპოსია. ერთიც და მეორეც ბრძანებებს და განკარგულებებს ახდენს. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთ სოფელში მთავარ-ეპისკოპოსი ალექსიც (ჩვენში იყო ექ-არხოსად) ნიშნავს მღვდელს და ქორ-ეპისკოპოსი ალიპიც. ესეთი მღვდლები ცუდ მდგომარეობაშივარდებიან თურმე, არც ერთს არ უნდა დაუთმოს მეორეს ალაგი. რითი გათავდება ეს ამბავი ამ ახლო მომავალში გავიგებთ.

**მ. გორკის გამორიცხვა ესდეკების პარტიიდან.** გაზეთი „უტრო როსსიი“ (მოსკოვში გამოდის) იუწყება, რომ მ. გორკი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამორიცხესო და მიზეზად იმას ასახელებს, რომ გორკის „ბურჟუაზიული მიდრეკილება აქვსო“. დანამდვილებით ჯერ არავინ იცის თუ რამდენად მართალია ეს ცნობა, მაგრამ „რეჩი“-ს სიტყვით ადვილი შესაძლებელი კია. დიდი ხანია, სწერს „რეჩი“ ესდეკებში უკმაყოფილონი არიან გორკით და ლუნაჩარსკით, პარტიის ახალგაზრდა წევრებს რჰყვნიანო. იდეურ მოტივების გარდა მ. გორკის პარტიიდან გამორიცხვას სხვა სარჩული უდევს. ფულის ანგარიშები და სხვა. მართალია გორკი ემიგრანტებს რამდენადაც კი შეეძლო შველოდა, მაგრამ იგიც ვერ ასცდა სხვა-და-სხვა ცილის წამებებს, ყვედრებას, რომ „ბურჟუაზიული მიდრეკილება“ აქვს და სხვა. გორკიმ განიცადა იგივე, რაიც ერთხელ გერცენმა განიცადა.


ჰიგიენური
კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—223)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—10)

გამოვიდა გასასყიდად
გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული


ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.
კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.
ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—6)



ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე**. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბეს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—92)